ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა

და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის

სხდომის ოქმი

N 35

18.10.2019
13:00 საათი

ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი N2
დიმიტრი ყიფიანის სახელობის სხდომათა დარბაზი

მიმდინარე წლის 18 ოქტომბრის, 13:00 საათზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების გაერთიანებული სხდომა გაიმართა.

სხდომას ესწრებოდნენ ამავე საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრები: გიორგი ჩაკვეტაძე (კომისიის თავმჯდომარე), დავით ჭელიძე (კომისიის წევრი), გიორგი მუსხელიშვილი (კომისიის წევრი), დავით რურუა (კომისიის წევრი) და შალვა ოგბაიძე (კომისიის წევრი).

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილე **ქვარა ჩართოლანი**, ასევე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები და აპარატის თანამშრომლები.

სხდომის უფლებამოსილება განისაზღვრა სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის 5 (ხუთი) წევრის დასწრებით.

სხდომას თავმჯდომარეობდა - **გიორგი ჩაკვეტაძე**

სხდომის დღის წესრიგი:

1. **„ქალაქ თბილისში, თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული 1244 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: #01.12.21.001.526) პირდაპირი განკარგვის წესით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „თბილისის ქვიშის ფეხბურთის ფედერაციისთვის“ (ს/კ: 406246753) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე“** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (24.09.2019, 12-03192671-03) *(მომხსენებელი - ქვარა ჩართოლანი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილე);*
2. **„ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის IV მ/რ, #102 საჯარო სკოლის მიმდებარედ არსებული 21229 კვ.მ. მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობების: #1, #2 და #3 (მიწისქვეშა ნაგებობა) (ს/კ: #01.14.16.008.031) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (04.10.2019, 12-031927771-03) *(მომხსენებელი - ქვარა ჩართოლანი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილე);*

სხდომა წარიმართა: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიასთან ერთად.

მოისმინეს:

,,ქალაქ თბილისში, თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული 1244 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით ა(ა)იპ „თბილისის ქვიშის ფეხბურთის ფედერაციისთვის" უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე" საკრებულოს განკარგულების პროექტი - კომისიას წარუდგინა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილემ.

ქვარა ჩართოლანი - აღნიშნული საკითხი ეხება თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე 1244 კვ.მ მიწის ნაკვეთის, ა(ა)იპ ,,თბილისის ქვიშის ფეხბურთის ფედერაციისთვის" უზუფრუქტით გადაცემას 2 წლის ვადით, ქვიშის საფეხბურთო მოედნის მოწყობის მიზნით. აღნიშნულთან დაკავშირებით ქონების მართვის სააგენტოს მიმართა ა(ა)იპ ,,ქვიშის ფეხბურთის ფედერაციის" პრეზიდენტმა გივი ნეფარიძემ ქვიშის ფეხბურთის თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სტადიონის მოწყობის მიზნით სამუშაოების ჩასატარებლად, აღნიშნულს თან ახლავს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის წერილი, სადაც ნათქვამია, რომ საქალაქო სამსახური არაა წინააღმდეგი, აღნიშნული ტერიტორიის ფედერაციისთვის ქვიშის მოედნის მოწყობის მიზნით გადაცემის.

სხდომა კითხვა პასუხის რეჟიმში წარიმართა, მომხსენებელმა დასმულ კითხვებს ამომწურავი პასუხი გასცა.

აზრი გამოთქვეს:

გიორგი ჩაკვეტაძე - სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია მიესალმება ქვიშის ფეხბურთის მოედნის თანამედროვე სტანდარტებით მოწყობას, რომელიც ხელს შეუწყობს სპორტული აქტივობების ჩატარებას და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციას.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

„ქალაქ თბილისში, თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული 1244 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: #01.12.21.001.526) პირდაპირი განკარგვის წესით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „თბილისის ქვიშის ფეხბურთის ფედერაციისთვის" (ს/კ: 406246753) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე" საკითხი (მომხრე - გიორგი ჩაკვეტაძე, დავით ჭელიძე, დავით რურუა, გიორგი მუსხელიშვილი, შალვა ოგბაიძე - (5), წინააღმდეგი - (0), თავი შეიკავა - (0)).

ქ. თბილისის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ ერთხმად გადაწყვიტა:

„ქალაქ თბილისში, თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული 1244 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: #01.12.21.001.526) პირდაპირი განკარგვის წესით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „თბილისის ქვიშის ფეხბურთის ფედერაციისთვის" (ს/კ: 406246753) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე" განკარგულების პროექტი გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

„ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის IV მ/რ, #102 საჯარო სკოლის მიმდებარედ არსებული 21229 კვ.მ. მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" საკრებულოს განკარგულების პროექტი, კომისიას წარუდგინა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილემ.

ქვარა ჩართოლანი - საკითხი შეხება ა(ა)იპ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისთვის საკუთრების ფორმით უძრავი ქონების გადაცემასთან დაკავშირებით პირდაპირი განკარგვის წესით თბილისში ნუცუბიძის IV მიკრო რაიონში N102-ე საჯარო სკოლის მიმდებარედ 21 229 კვადრატული მეტრი მიწის და მასზედ მდებარე შენობა ნაგებობების გადაცემის საპრივატიზებო პირობა გახლავთ უძრავი ქონების ტერიტორიის განვითარება და ფუნქციონირება მხოლოდ სპორტული დანიშნულებით.

აზრი გამოთქვეს:

გიორგი ჩაკვეტაძე - ეს ამ მოწვევის საკრებულოს მხრიდან ა(ა)იპ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისთვის დედაქალაქში ქონების გადაცემის უკვე მესამე შემთხვევაა. პირველი იყო სამგორის რაიონში ვარკეთილის ტერიტორიაზე, სადაც უკვე სრულდება სამშენებლო სამუშაოები, მეორე გახლავთ გლდანის მეშვიდე მიკრორაიონში, ხოლო მესამე - ნუცუბიძის IV მიკრორაიონში. პროექტი მოიცავს დიდ სტანდარტულ სტადიონს, მინი სავარჯიშო სტადიონს, ტრიბუნებს და სხვა საჭირო ინფრასტრუქტურას. აღნიშნული გახლავთ ფეხბურთის ასოციაციათა საერთაშორისო ფედერაციის (FIFA) მხრიდან გრანტის ფარგლებში მოზიდული ინვესტიცია. აღსანიშნავია, რომ ხელშეკრულებაში ჩადებულია, ტერიტორიაზე სპორტული პროფილის შენარჩუნების ვალდებულება უვადოდ და აღნიშნული ტერიტორიის განვითარება შესაძლებელია მხოლოდ აღნიშნული პროფილის ფარგლებში. ეს გახლავთ ისეთი საკითხი, რომელსაც ყველა ფრაქცია როგორც წესი მხარს უჭერს.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

„ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის IV მ/რ, #102 საჯარო სკოლის მიმდებარედ არსებული 21229 კვ.მ. მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობების: #1, #2 და #3 (მიწისქვეშა ნაგებობა) (ს/კ: #01.14.16.008.031) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" საკითხი (მომხრე - გიორგი ჩაკვეტაძე, დავით ჭელიძე, დავით რურუა, გიორგი მუსხელიშვილი, შალვა ოგბაიძე - (5), წინააღმდეგი - (0), თავი შეიკავა - (0)).

ქ. თბილისის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ ერთხმად გადაწყვიტა:

„ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის IV მ/რ, #102 საჯარო სკოლის მიმდებარედ არსებული 21229 კვ.მ. მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობების: #1, #2 და #3 (მიწისქვეშა ნაგებობა) (ს/კ: #01.14.16.008.031) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" განკარგულების პროექტი გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: გიორგი ჩაკვეტაძე